



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტი**  
**ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა**



№ 11

„09“ 11 2018 წ.

**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში  
 სტუდენტთა წარმომადგენლის ასარჩევად არჩევნების დანიშვნის შესახებ**


„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტის, 22- მუხლი პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ემუხლის მე-2 ნაწილის, 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულების დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დაინიშნოს არჩევნები სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში, ამავე უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ერთი წარმომადგენლის ასარჩევად.
2. არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 09 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით.
3. არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 22 ნოემბერს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ.
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების გადაგზავნა შესაბამისი ფაკულტეტისთვის, საარჩევნო კომისიისთვის და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებისთვის.
7. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილებას აღნიშნული ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.

8. საფუძველი: საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 02 ნოემბრის განცხადება N1413696; წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 19 ივლისის დადგენილება N22.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზღლიშვილის ქ. N62.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე